EPRC
Economic Policy Research Center

საქართველო და მისი პარტნიორები

მთავარი თემა - ირანი

საქართველო და ირანი
„კარის გაღების“ შესაძლებლობების ძიება

თბილისი, საქართველო

აპრილი, 2016

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)
მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვა

მშპ ერთ სულ მოსახლეზე, მსყიდველობითი უნარის პარიტეტი (PPP) აშშ დოლარი



მიმდინარე ანგარიშის ბალანსი, მშპ-ის %



საშომხმარებლო ფასების ინდექსი, ინფლაცია %



საბიუჯეტო დეფიციტი, მშპ-ის %



პროექტის „საქართველო და მეზობლების“ შესახებ

„საქართველო და მეზობლები“ პერიოდული ანალიტიკური გამოცემაა, რომელიც მიმოიხილავს და აანალიზებს ეკონომიკური განვითარების, ფინანსური ბაზრებისა და ბიზნეს ტენდენციებს საქართველოს სამეზობლოსა და მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორებთან. პროექტის მიზანია თვალი ადევნოს მსოფლიოსა და მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოვლენებს და ამ მოვლენების საქართველოზე შესაძლო გავლენის პროგნოზები შესთავაზოს მკითხველს. ამ პუბლიკაციის მთავარი სამიზნე ჯგუფი და აუდიტორია საქართველოს ბიზნეს სექტორი და საჯარო სექტორში გადაწყვეტილების მიმღები პირები არიან. „საქართველოსა და მეზობლების“ მიერ შემოთავაზებული დასკვნები და პროგნოზები ემყარება საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში ინტენსიური კვლევისა და კონსულტაციების შედეგად მიღებულ ინფორმაციას. პუბლიკაცია მომზადებულია EPRC-ის მკვლევარებისა და კონსულტანტების მიერ.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი

ადგილი	ქვეყანა	ქულა
1	შვეიცარია	5.7592335
2	სინგაპური	5.6766692
3	შეერთებული შტატები	5.6129673
4	გერმანია	5.5285691
…….		
60	ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია	4.2810519
61	კოლუმბია	4.2782079
62	ომანი	4.2472135
63	უნგრეთი	4.2455023
64	იორდანია	4.2334002
65	კვიპროსი	4.2297352
66	საქართველო	4.2220696
67	სლოვაკეთის რესპუბლიკა	4.2200303
68	შრი-ლანკა	4.2143836
69	პერუ	4.2101585
70	მონტენეგრო	4.2017293
71	ბოტსვანა	4.1902851
72	მაროკო	4.1649488
73	ურუგვაი	4.0885481
74	ირანის ისლამური რესპუბლიკა	4.0852677
……		
139	ჩადი	2.9646368
140	გვინეა	2.8411147

გლობალური ინოვაციის ინდექსი

ადგილი	ქვეყანა	ქულა
1	შვეიცარია	68.3
2	გაერთიანებული სამეფო	62.4
…….		
70	ბრაზილია	34.9
71	პერუ	34.9
72	არგენტინა	34.3
73	საქართველო	33.8
74	ლიბანი	33.8
75	იორდანია	33.8
76	ტუნისი	33.5
77	ქუვეიტი	33.2
100	ეგვიპტე	28.9
101	გვატემალა	28.8
102	ბურკინა-ფასო	28.7
103	კაბო-ვერდე	28.6
104	ბოლივიის მრავალეროვანი სახელმწიფო	28.6
105	მალი	28.4
106	ირანის ისლამური რესპუბლიკა	28.4
107	ნამიბია	28.1
108	განა	28
…….		
140	ტოგო	18.4
141	სუდანი	15

მთავარი თემა - ირანი

საქართველო და ირანი
„კარის გაღების“ შესაძლებლობების ძიება

თბილისი, საქართველო
აპრილი, 2016

სარჩევი

ირანი და მისი მნიშვნელობა 8
საქართველო როგორც ცენტრალური პუნქტი 9
ირანი დღეს 10
ირანის სანქციები 17
სანქციების გაუქმება – შესაძლებლობები 21
ირან-საქართველოს ეკონომიკური კავშირები 23
პოტენციური თანამშრომლობა - უსაფრთხოების სფერო,
ენერგეტიკის სექტორი და მათ მიღმა 27
პოლიტიკური ურთიერთობები 28
უსაფრთხოების მოსაზრებები 28
ეკონომიკური პოტენციალი 30
ტრანსპორტი 30
ბიზნესურთიერთობები 32
დასკვნა 34
რეკომენდაციები პოლიტიკის შემმუშავებლებისათვის 36

© ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC)

ირანი და მისი მნიშვნელობა

აშკარაა, რომ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ირანის ისლამური რესპუბლიკა რეგიონის უაღრესად მნიშვნელოვანი ცენტრალური პუნქტია. გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, ჰაბის როლი ირანს უფრო შეეფერება, ვიდრე მის მთავარ მეტოქეს ისლამურ სამყაროში და რესურსებით მდიდარ კიდევ ერთ ავტოკრატიას – საუდის არაბეთს. ირანი ერთადერთი ქვეყანაა კასპიის ზღვასა და სპარსეთის ყურეს შორის და შესაბამისად, ირანის ზაგროსის მთები სახმელეთო ხიდია, რომელიც აზერბაიჯანს და ცენტრალური აზიის ქვეყნებს ინდოეთის ოკეანესთან აკავშირებს; ეს ქვეყნის სატრანსპორტო დერეფნად გამოყენების სერიოზულ ეკონომიკურ პოტენციალს წარმოადგენს, თუ ირანის ხელისუფლება მისთვის ამ ფუნქციის მინიჭებას გადაწყვეტს. უნდა აღინიშნოს, რომ ირანი თვითკმარი ქვეყანაა. ის შედარებით ღარიბია, მაგრამ საუკეთესოდ დაცული საზღვრები აქვს და ჰყავს დისციპლინირებული ცენტრალური ხელისუფლება დაზვერვის და შინაგანი უსაფრთხოების საუკეთესო აპარატით.[1] თუმცა, 1979 წლის შემდეგ ირანსა და აშშ-ს შორის ურთიერთობა დაუფარავ მტრობამდე გაუარესდა; შესაბამისად, აშშ-ის შეიარაღებული ძალების ყოფნა ირანის აღმოსავლეთითა და დასავლეთით – ერაყსა და ავღანეთში – მნიშვნელოვან დაძაბულობას ქმნის არა იმდენად ქვეყანაში მათ შესაძლო შეჭრასთან დაკავშირებით, რამდენადაც აშშ-ის მიერ, ამ პოზიციების მეშვეობით, ირანში ეთნიკური უთანხმოების გაღვივების გამო.[2]

მიუხედავად ამისა, ირანი მნიშვნელოვან ეკონომიკურ პოტენციალს წარმოადგენს აშშ-სთვის, რომელიც 1978 წლამდე ირანის რიგით მეორე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი იყო; ამერიკული საქონელი – ძირითადად იარაღი, სამრეწველო დანადგარები და ტექნოლოგია – ირანის მთლიანი იმპორტის 16%-ს შეადგენდა.[3] ეს კი იმას ნიშნავს, რომ აშშ-ის კერძო სექტორი, შანსი თუ მიეცა, აუცილებლად შევა ირანში, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ირანი, როგორც მოსახლეობის რაოდენობით სიდიდით მესამე ქვეყანა რეგიონში, უდიდესი შესაძლებლობების მქონე ბაზარია, რომელშიც სამომხმარებლო ბაზის მნიშვნელოვან წილს ახალგაზრდები შეადგენენ, ხოლო შედარებით უფროსი ასაკის საშუალო კლასის მოსახლეობას ჯერ კიდევ ახსოვს 1979 წლამდე პერიოდის ამერიკული სამომხმარებლო საქონელი.[4]

---

1 https://www.stratfor.com/analysis/geopolitics-iran-holding-center-mountain-fortress

2 იქვე.

3 http://iranprimer.usip.org/blog/2012/apr/10/us-iran-trade-still-thrives-0

4 http://qz.com/390121/if-sanctioned-are-lifted-heres-what-trade-between-iran-and-the-us-would-look-like/

აშშ-სგან განსხვავებით, რომელმაც 1979 წლის შემდეგ ირანში საკუთარი ინტერესები მნიშვნელოვნად შეკვეცა, ევროპული ქვეყნები, რომლებიც ევროკავშირის შექმნამდე თავად უწესებდნენ ამ ქვეყანას სანქციებს, აქტიურად აბანდებდნენ ინვესტიციებს ირანის ეკონომიკაში – 1992-2008 წლებში, 20-ზე მეტმა ქვეყანამ, განსაკუთრებით კი, გერმანიამ, ჰოლანდიამ და ესპანეთმა, ირანში თითქმის 11 მილიარდი აშშ დოლარი დააბანდა 253 სხვადასხვა პროექტში.[5] ცხადია, ევროკავშირის სანქციების გაუქმება გააახლებს ევროპის ინტერესს ირანის მიმართ, რაც დამატებით ბიძგს მისცემს ირანის ეკონომიკურ ზრდას. ევროპული კომპანიებისთვის ირანი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა, რადგან ჩინეთის მხრიდან მოთხოვნის შესუსტების და ბევრ სხვა განვითარებად ბაზრებზე წარმოქმნილი პრობლემების გამო, ევროკავშირის ბიზნესებს ახალი და დიდი ბაზარი ესაჭიროებათ თავიანთი საქმიანობებისთვის.

საქართველო როგორც ცენტრალური პუნქტი

ძლიერ ეკონომიკებთან შედარებით, მცირე ზომის მიუხედავად, საქართველოს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა უკავია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გზაჯვარედინზე და ირანიდან დასავლეთის მიმართულების (აზერბაიჯანის გავლით) პოტენციურ მარშრუტს წარმოადგენს. საქართველოს ტერიტორიაზე უკვე სამი მსხვილი მილსადენი გადის (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-სუფსის ნავთობსადენები და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი), ხოლო რამდენიმე სხვა მილსადენის გაყვანით, რომელთა პროექტებიც განიხილება (აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ინტერკონექტორი, რომელიც ბუნებრივ აირს აზერბაიჯანიდან ცენტრალურ ევროპას მიაწვდის; თეთრი ნაკადი, რომლითაც კასპიის რეგიონიდან ბუნებრივი აირი რუმინეთსა და უკრაინამდე მივა; ბუნებრივი აირის სამხრეთის დერეფანი, რომელიც აზერბაიჯანს იტალიასთან დააკავშირებს თურქეთისა და საბერძნეთის გავლით), ქვეყანა თავისუფლად შეძლებს ნებისმიერი იმ მილსადენის ნაწილი გახდეს, რომლითაც ირანული ენერგორესურსების ევროპისკენ ტრანსპორტირება მოხდება. გარდა ამისა, ყველაზე მოკლე გზა ირანიდან შავ ზღვამდე და იქიდან აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპამდე საქართველოზე გადის და შესაბამისად, იმ სატრანსპორტო დერეფნების სიცოცხლისუნარიან ალტერნატივას წარმოადგენს, რომლებიც ირანიდან თურქეთის გავლით არსებობს. თუმცა, სანქციების გაუქმების შემთხვევაში ირანმა საქართველოს დერეფანს შეიძლება კონკურენცია გაუწიოს და ცენტრალური

5 https://web.archive.org/web/20081210233037/http://www.iran-daily.com/1387/3289/html/economy.htm

აზიის ხმელეთით გარშემორტყმულ ქვეყნებს ოკეანესთან ალტერნატიული მისასვლელი შესთავაზოს ბენდერ-აბასის და ჰორმუზის სრუტის გავლით. და მაინც, საქართველოს ადგილმდებარეობას ნამდვილად გააჩნია ფარდობითი უპირატესობა და მან უნდა შეძლოს ამ უპირატესობის გამოყენება ახლა, სანამ ირანი მსოფლიოსთვის მეტი საქონლისა და მომსახურების შეთავაზებას შეძლებს.

ირანი დღეს

ირანის ისლამური რესპუბლიკა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანაა, რომელიც მე-18 ადილზეა მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მშპ-ის მიხედვით და 29-ზე ნომინალური მშპ-ის მიხედვით არსებული გაცვლის კურსით. როგორც Goldman Sachs Asset Management-ის თავმჯდომარემ, ჯიმ ონილიმ, თქვა, BRIC-ის (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი და ჩინეთი) შემდეგ, ირანი ერთ-ერთია Next-11-ის ანუ, 11 სწრაფად განვითარებადი ბაზრის ჯგუფიდან, რომელსაც 21-ე საუკუნის მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ეკონომიკად გადაქცევის პოტენციალი გააჩნია.[6] 2012 წელს, Next-11-მა აშშ-ში რეგისტრირებული განვითარებად ბაზრებში ინვესტირების ფონდების 93% შეადგინა და ირანზე დაწესებული სანქციების თანმიმდევრული გაუქმება (რაზეც უფრო დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებთ) Next-11-ის პოტენციალს კიდევ უფრო გაზრდის.

საქართველოს ორი მეზობლის, აზერბაიჯანისა და რუსეთის, მსგავსად, ირანი ენერგორესურსებით მდიდარი ქვეყანაა და ნედლი ნავთობის დადასტურებული მარაგების მოცულობის მიხედვით მსოფლიოში მეოთხეა (ვენესუელის, საუდის არაბეთისა და კანადის შემდეგ), ხოლო ბუნებრივი აირის დადასტურებული მარაგებით – პირველი.[7] გასაკვირი არ არის, რომ ირანის მრეწველობაში ნავთობისა და გაზის მოპოვება დომინირებს, თუმცა ნავთობით მდიდარი სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ირანის მრეწველობა საკმაოდ დივერსიფიცირებულია, თეირანის საფონდო ბირჟა კი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ბირჟაა ბოლო 5 წლის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ 2013 წელს მისი ინდექსი ისტორიულ მაქსიმუმზე ოდნავ დაბალი იყო, ეს ინდექსი მაინც საკმაოდ მაღალია და ოპტიმიზმის სერიოზულ საფუძველს იძლევა. უნდა აღინიშნოს, რომ 2000-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული, ნედლი ნავთობის წარმოების მსოფლიო ფასებსა და მთლიანი წარმოების თვითღირებულებას შორის განსხვავების წილი მშპ-ში მნიშვნელოვნად შემცირდა – 2008 წლის 40%-დან 2008 წლის 23%-მდე. ეს თავის-

6 http://www.bloomberg.com/news/articles/2012-08-07/goldman-sachs-s-mist-topping-brics-as-smaller-markets-outperform

7 http://www.bp.com/en/global/corporate/energy-economics/statistical-review-of-world-energy.html

თავად არ ნიშნავს, რომ ქვეყანა მინერალურ რესურსებზე დამოკიდებულებას წყვეტს, მაგრამ ისეთი ტენდენციაა, რომელიც სწორი მიმართულებით სვლაზე მეტყველებს.

ირანის ეკონომიკის უმსხვილეს წილს სხვადასხვა სერვისები წარმოადგენს, რომელსაც ნავთობის და გაზის წარმოების წილი მოსდევს.[8] სოფლის მეურნეობის სექტორი შედარებით არაპროდუქტიულია და მასში დასაქმებული სამუშაო ძალის 18.3% მშპ-ის მხოლოდ 9%-ს ქმნის. ნავთობქიმიკატების გარდა, ირანის სიდიდით მეორე მრეწველობა მანქანათმშენებლობაა, ხოლო მისი კომპანია „ხოდრო" ახლო აღმოსავლეთში მანქანების უმსხვილესი მწარმოებელია.[9] ირანის ეკონომიკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სექტორი მშენებლობაა, როგორც ნედლი მასალების, ასევე წარმოების თვალსაზრისით. ირანს წელიწადში 70 მილიონი ტონა ცემენტის წარმოების წარმადობა აქვს და ამ საქონლის წარმოების სიდიდით მსოფლიოში მეოთხეა, ახლო აღმოსავლეთში კი პირველი.[10] ირანული ცემენტის მთავარი ექსპორტიორები ერაყი (მთლიანი ექსპორტის 63%), თურქმენეთი (7%) და აზერბაიჯანი (4%) არიან. სამშენებლო სექტორი სწრაფად ვითარდება და სტაბილურ, წლიურ 4.2%-იან ზრდას აჩვენებს, რომლის გაორმაგებასაც მოელიან, განსაკუთრებით, სანქციების მოხსნის შემთხვევაში.[11] სანქციების გაუქმების შემდეგ, ირანი, დიდი ალბათობით, განვითარებად ეკონომიკებს შორის უმსხვილესი სამშენებლო ბაზარი გახდება. სანქციების გაუქმების ეფექტი, მართალია, მცირე მასშტაბით, მაგრამ უკვე მაინც შესამჩნევია, რაც სამხრეთ კორეამ სანქციების უდიდესი ნაწილი 2014 წლის მარტში გააუქმა. ორმა კორეულმა მულტინაციონალურმა კომპანიამ, Hyundai E&C და Daelim, წარმომადგენლობები სანქციების გაქუმებამდეც კი გახსნა თეირანში და დღეს, სამხრეთ კორეა ირანის უმსხვილესი საერთაშორისო პარტნიორია სამშენებლო სექტორში.[12] რადგან ირანი ცდილობს ნავთობის წარმოებიდან დივერსიფიცირებას და ნავთობქიმიკატების საწარმოო ჯაჭვის მეტად მოცვას, ირანის სამშენებლო სექტორის შემდეგი ნაბიჯი ქიმიური ობიექტების მშენებლობაა და ჩინეთმა უკვე გამოხატა ინტერესი, მონაწილეობა მიიღოს რამდენიმე ძვირადღირებული სამშენებლო პროექტით.[13]

8 http://www.cbi.ir/simplelist/5796.aspx

9 ქვემოთ მოცემული დიაგრამა არ მოიცავს ბანკების საკომისიო მოსაკრებლის პირობით სიდიდეს, რაც უდრის მშპ-ის 2.7%-ს.

10 http://thehill.com/blogs/congress-blog/foreign-policy/228643-iran-a-force-in-cement-industry

11 http://www.ifpinfo.com/Iran-NewsArticle-6083#.Vs1bypP6Jps

12 http://www.globalconstructionreview.com/markets/how-iraq-crisis-could-make-irans-construction888/

13 იქვე.



ირანის ეკონომიკური განვითარება 21-ე საუკუნეში სანქციებმა შეაფერხა და წლების განმავლობაში, ქვეყანამ, პრაქტიკულად, ვერ შეძლო ორნიშნა ინფლაციისგან თავის დაღწევა, რაც დანაწევრებულმა მიწოდების ჯაჭვებმა და მაღალმა საოპერაციო ხარჯებმა გამოიწვია.[14] ირანის ცენტრალური ბანკი რიალის გაცვლის კურსს 2013-2014 წლებამდე მკაცრად აკონტროლებდა, რის შემდეგაც მისი თავისუფალი მერყეობა დაუშვა; თუმცა, უკვე 2011 წელს, შავი ბაზრის არაოფიციალურმა კურსმა ცენტრალური ბანკის კურსისგან დაშორება დაიწყო და ორჯერ და მეტადაც აღემატებოდა ოფიციალურ კურსს. 2013 წლის ივლისში ცენტრალურმა ბანკმა კურსის დაფიქსირება შეწყვიტა და გაცვლის სხვადასხვა კურსის სისტემა გააუქმა; შედეგად ირანული რიალი 70%-ით გაუფასურდა ერთი წლის წინანდელ ოფიციალურ ღირებულებასთან შედარებით. მიუხედავად ამისა, კვლავ მნიშვნელოვანი სხვაობაა ოფიციალურ და შავი ბაზრის კურსებს შორის; 2013/2014 წლების გაცვლის ოფიციალური საშუალო კურსი იყო 21,253 ირანული რიალი/აშშ დოლარი, ხოლო შავი ბაზრის კურსი 31,839 ირანული რიალი/აშშ დოლარი.[15] ასეთი სხვაობა იმის მაჩვენებელია, რომ ირანელები აშშ დოლარს უფრო სანდო ინვესტიციად

14 http://www.iar-gwu.org/node/428

15 ირანის ცენტრალური ბანკის წლიური მიმოხილვა 1392 (2013/14), გვ. 35.

განიხილავდნენ (და ისევ განიხილავენ) და ინფლაციის მიხედვით აკორექტირებენ, ხოლო საცალო მოვაჭრეები თავიანთ ფასებს დოლარის საბაზრო ღირებულებას აბამენ.

ამავე დროს, 2012 წლამდე, რეალური ზრდა საკმაოდ მაღალი იყო და გლობალური ფინანსური კრიზისების დროსაც კი დადებითი რჩებოდა, სავარაუდოდ, სანქციების წყალობით, რომლებმაც ირანის ფინანსური სისტემა გარკვეულწილად მოწყვიტა დანარჩენ მსოფლიოს. 2012 წელს ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციები საბოლოო დარტყმა იყო ეკონომიკისთვის და ირანში სერიოზული რეცესია დაიწყო, რომელიც ორი წელი გაგრძელდა.



2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგი, სავარაუდოდ, ეკონომიკურმა მიზეზებმა განაპირობა: მაჰმუდ აჰმადინეჟადი ჰასან როჰანიმ შეცვალა, რომელსაც უმეტესად ზომიერ რეფორმატორად ახასიათებენ, მაგრამ ისრაელსა და აშშ-სთან დაკავშირებით მაინც ურყევი შეხედულებები აქვს. თუმცა, მისი მთავრობა, წინასთან შედარებით, ნამდვილად უფრო რეფორმატორულია და მეტ აქცენტს აკეთებს ადამიანის უფლებებზე, ქალთა უფლებებსა და უფრო ღია საგარეო პოლიტიკაზე. როჰანის მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტი გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებაა, მაგრამ ირანის კონსტიტუციის 44-ე მუხლში მკაფიოდ წერია, რომ „სახელმწიფო სექტორში შედის ეროვნული მრეწველობის ყველა დარგი, საგარეო ვაჭრობა, მსხვილი შახტები, საბანკო და სადაზღვევო ინდუსტრიები, ენერგორესურსები, კაშხლები და წყლის საირიგაციო მსხვილი ქსელები, რადიო და ტელევიზია, ფოსტა, ტელეგრაფი და ტელეფონი, ავიაცია, ნავიგაცია, გზები, რკინიგზები და სხვა სახელმწიფოს საკუთრებაში და სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ არსებული სექტორები,"[16] რაც ფაქტობრივად ნიშნავს, რომ ირანის ეკონომიკის უდიდესი ნაწილი სახელმწიფოს საკუთრებაში იქნება და ცენტრალური დაგეგმვის სისტემას დაექვემდებარება. თუმცა, 2004 წელს ამ მუხლში შეტანილი ცვლილება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივების 80%-ის გასხვისებას შესაძლებელს ხდის; შესაბამისი უწყება – ირანის საპრივატიზაციო ორგანიზაცია

16 http://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/ir/ir001en.pdf

– 2000-იანი წლების დასაწყისიდან ფუნქციონირებს და ამ უწყებას საპრივატიზაციო შემოსავლების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2010 წელს ჰქონდა. მიუხედავად ამისა, 2001 წლის შემდეგ პრივატიზაციიდან მიღებულმა შემოსავლებმა მხოლოდ 107.2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა,[17] რაც იმის მაჩვენებელია, რომ ირანის ეკონომიკას კვლავ სახელმწიფო მართავს. 2010 წელს მეჯლისის მიერ მიღებული ეკონომიკის რეფორმის გეგმა ითვალისწინებს საკვებსა და ენერგორესურსებზე სუბსიდირების ჩანაცვლებას მიზნობრივი სოციალური დახმარებით და მასშტაბური რეფორმების განხორციელებას საბანკო, საგადასახადო, საბაჟო, დასაქმების, სოციალური სამართლიანობის და სხვა მიმართულებებით.[18] 2015 წელს ირანის მთავრობამ რიგით მეექვსე ხუთწლიანი განვითარების გეგმა გამოაქვეყნა, რომელიც „სამი მიმართულებისგან შედგება, კერძოდ, რეზისტენტული ეკონომიკის განვითარება, პროგრესი მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში და წარმატების კულტურის პოპულარიზება. ეკონომიკის ფრონტზე, განვითარების გეგმა ითვალისწინებს წლიურ 8%-იან ზრდას და რეფორმების განხორციელებას სახელმწიფო საწარმოებში, საფინანსო და საბანკო სექტორში და ნავთობის წარმოებიდან მიღებული შემოსავლების მართვას და განაწილებას ხუთწლიანი პერიოდის მთავარ სამთავრობო პრიორიტეტებს შორის".[19]

უზარმაზარი როლი, რასაც ირანის სახელმწიფო ეკონომიკაში თამაშობს, გარკვეულწილად აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. უმსხვილეს სახელმწიფო კომპანიებს შორის არის ირანის ეროვნული ნავთობკომპანია (მსოფლიოში სიდიდით მესამე ნავთობკომპანია საუდის არაბეთის „არამკოს" და რუსეთის „გაზპრომის" შემდეგ), ირანის შახტებისა და სამთომომპოვებელი ინდუსტრიების განვითარების და რენოვაციის კომპანია (IMIDRO), ეროვნული ნავთობქიმიკატების კომპანია (ირანის ნავთობის სამინისტროს კომპანია), ბანკი მელი ირანი და სხვები. მსოფლიო ბანკის 2016 წლის ბიზნესის კეთების სიადვილის ინდექსის მიხედვით, ირანი 130-ე ადგილზეა 189 ქვეყანას შორის და მხოლოდ ბიზნესის დაწყებისა და კონტრაქტების აღსრულების კომპონენტების ქულებით უსწრებს საშუალო მაჩვენებელს (შესაბამისად, 62-ე და 68-ე ადგილები).[20] ახლო აღმოსავლეთის და სამხრეთ აფრიკის რეგიონში ირანს მხოლოდ ალჟირი, ჯიბუტი, ერაყი, ლიბია, სირია, დასავლეთ ნაპირი და ღაზა ჩამორჩებიან.[21]

17 http://www.en.ipo.ir/uploads/ipo-2016-01-01-4.pdf

18 http://www.turquoisepartners.com/iraninvestment/IIM-Jan11.pdf

19 http://www.worldbank.org/en/country/iran/overview

20 http://www.doingbusiness.org/~/media/GIAWB/Doing%20Business/Documents/Annual-Reports/English/DB15-Full-Report.pdf

21 http://www.worldbank.org/en/country/iran/overview

ამავე დროს, მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების სიადვილის ინდექსის მიხედვით, ბოლო წლებში ირანში დაწყებული რეფორმების უმეტესობა ბიზნესის კეთებას აადვილებს.[22] 2010 წლის შემდეგ განხორციელებულმა რეფორმებმა შემდეგი პოზიტიური ცვლილებები მოიტანა:

ბიზნესის კეთების სიადვილის ინდექსი 2015:	
ბიზნესის დაწყება:	ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ბიზნესის დაწყება გაადვილდა კომპანიის სახელის რეზერვირების და კომპანიის რეგისტრირების პროცედურების გამარტივების შედეგად.
ელექტროენერგიის მიღება:	ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ელექტროენერგიის მიღება გაადვილდა, ვინაიდან გაუქმდა მოთხოვნა, რომლის თანახმადაც მომხმარებლებს გათხრაზე ნებართვა უნდა მოეპოვებინათ ელექტროენერგიის მიწოდების სისტემასთან მიერთების სამუშაოების ჩასატარებლად.
ბიზნესის კეთების სიადვილის ინდექსი 2013:	
მინორიტარული პაკეტის მქონე ინვესტორების დაცვა:	ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ გააძლიერა ინვესტორთა დაცვა ისეთი ვალდებულების შემოღებით, რომლის თანახმადაც უნდა მოხდეს დაკავშირებულ მხარეებთან დადებული გარიგებების დაუყოვნებლივ გამჟღავნება.
ბიზნესის კეთების სიადვილის ინდექსი 2011:	
ბიზნესის დაწყება:	ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ გაამარტივა ბიზნესის დაწყება იმით, რომ შემოიღო ვებპორტალი, რომელიც მეწარმეებს შესაძლებლობას აძლევს, მოიძიონ და დაჯავშნონ კომპანიის უნიკალური სახელი.
კრედიტის აღება:	ახალი, კერძო საკრედიტო ბიუროს შექმნით გაუმჯობესდა საკრედიტო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.
კონტრაქტების აღსრულება:	ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ გაამარტივა და დააჩქარა კონტრაქტების აღსრულება იმით, რომ შემოიღო ზოგი დოკუმენტის ელექტრონული წარდგენა, ტექსტური შეტყობინებით ინფორმირება და საქმის მართვის ელექტრონული სისტემა.

22 http://www.doingbusiness.org/reforms/overview/economy/iran

ბიზნესის კეთების სიადვილის ინდექსი 2010:	
ბიზნესის კეთება:	ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ გაამარტივა ბიზნესის დაწყება რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის შემოღების გზით.
გადასახადების გადახდა:	ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ გაუმარტივა კომპანიებს გადასახადების გადახდა იმით, რომ გაყიდვაზე გადასახადი შეცვალა დამატებითი ღირებულების გადასახადით.
სამშენებლო ნებართვების მოპოვება:	ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ გაამარტივა სამშენებლო ნებართვების მოპოვება იმით, რომ თეირანში გახსნა ელექტრონული მომსახურების ოფისები, გააადვილა ადგილმდებარეობაზე თანხმობის, სამშენებლო ნებართვების და მშენებლობის დასრულების სერტიფიკატების მიღება და შეამცირა წყლის და ელექტროენერგიის სისტემებთან მიერთების ნებართვის მისაღებად საჭირო დრო.
ტრანსსასაზღვრო ვაჭრობა:	ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ შეამცირა ექსპორტირებისა და იმპორტირებისთვის საჭირო დრო იმით, რომ დააყენა სკანერები შაჰიდ რეჯაის პორტში და რეორგანიზება გაუკეთა განბაჟების ოფისებს, რომლითაც მოხდა სპეციალური საქონლის (ქიმიკატები, ნავთობპროდუქტები) ინსპექტირების გამიჯვნა საერთო მოხმარების საქონლის ინსპექტირებისგან.

ამ რეფორმების მიუხედავად ირანის ეკონომიკა ორი წელი, 2012 და 2013 წლებში, რეცესიაში იყო, რომლის შემობრუნებაც 2014 წელს, მოკრძალებული 3%-იანი ეკონომიკური ზრდით დაიწყო.[23] ამ შემობრუნებას ხელი შეუწყო ერთობლივი სამოქმედო გეგმის ხელმოწერამ, რომელიც „ზოგი ეკონომიკური სანქციის დროებითი შემსუბუქების სანაცვლოდ ირანის ბირთვული პროგრამის ძირითადი ნაწილების გაყინვის" გრაფიკს წარმოადგენს.[24]

ირანის სანქციები

აიათოლა რუჰოლა ხომეინის მომხრეების მიერ 1979 წელს ირანის ბოლო შაჰის, რეზა ფეჰლევის, ჩამოგდების შემდეგ ირანსა და დასავლეთს (ძირითადად, შეერთებულ შტატებს) შორის ურთიერთობები დაიძაბა. პირველი სანქციები ირანს აშშ-მ დაუწესა 1979 წლის „ირანის მძევალთა კრიზისის" შემდეგ, რაც აშშ-ის პრეზიდენტის #12170 ბრძანების საფუძველზე ირანის მთავრობის ყველა

23 მსოფლიო ბანკის მიხედვით; საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2015 წლის ოქტომბრის მსოფლიო ეკონომიკის მიმოხილვაში სხვა ციფრია ნაჩვენები - 4.3% (https://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2015/02/weodata/weorept.aspx?pr.x=19&pr.y=1&sy=2013&ey=2020&scsm=1&ssd=1&sort=country&ds=.&br=1&c=429&s=NGDP_RPCH&grp=0&a)

24 https://www.washingtonpost.com/world/national-security/kerry-in-geneva-raising-hopes-for-historic-nuclear-deal-with-iran/2013/11/23/53e7bfe6-5430-11e3-9fe0-fd2ca728e67c_story.html

ქონების გაყინვას ითვალისწინებდა.[25] ამ სანქციას მალე აშშ-ირანს შორის ვაჭრობის უმეტესი ნაწილის აკრძალვა მოყვა.[26] ირან-ერაყის ომის დროს სანქციები გაფართოვდა და 1995 წელს, ორი სხვადასხვა ბრძანებით, პრეზიდენტმა კლინტონმა, ჯერ, აშშ-ის ირანის ნავთობის ინდუსტრიაში ვაჭრობა,[27] ხოლო შემდეგ, ირანთან ნებისმიერი ვაჭრობა აკრძალა.[28] დამატებითი სანქციები აშშ-მ 2000-იანი წლების შუა პერიოდში შემოიღო, როდესაც გამომჟღავნდა, რომ ირანი ბირთვულ პროგრამას ფარულად ახორციელებდა.[29]

ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებულმა კითხვებმა[30] საერთაშორისო თანამეგობრობაც შეაშფოთა და გაერო და ევროკავშირი ანტი-ირანულ სანქციებს შეუერთდნენ. მთლიანობაში, ირანზე, სხვადასხვა დროს, შემდეგი სანქციები იქნა დაწესებული:[31]

ქვეყანა/ორგანიზაცია	სანქცია
გაერო (შეეხო 43 ინდივიდს და 78 ორგანიზაციას)	- რეზოლუცია #1737 (2006 წლის დეკემბერი) ეკონომიკურ და კომერციულ სანქციებს უწესებს 10 ორგანიზაციას, რომლებიც დაკავშირებულია თეირანის ბირთვულ და ბალისტიკურ პროგრამებთან. მათი აქტივები და 12 ინდივიდის აქტივები გაიყინა.
	- რეზოლუცია #1747 (2007 წლის მარტი) ყინავს დამატებით იმ 13 ორგანიზაციის აქტივებს, რომლებიც დაკავშირებულია ბირთვულ პროგრამასთან ან ირანის რევოლუციურ გვადიასთან. ასევე, დაწესდა ემბარგო ირანისთვის იარაღის მიყიდვაზე და შეზღუდვები ირანისთვის სესხის მიცემაზე.
	- რეზოლუცია #1803 (2008 წლის მარტი) ყინავს უცხოურ აქტივებს და კრძალავს ბირთვული პროგრამის მთავარი მოთამაშეების სხვა ქვეყნებში მგზავრობას, ასევე, კრძალავს ირანისთვის ორმაგი დანიშნულების საქონლის (სამოქალაქო და სამხედრო) მიწოდებას.
	- რეზოლუცია #1929 (2010 წლის ივნისი) აწესებს ახალ შეზღუდვებს ირანის ინვესტიციებზე და კრძალავს ირანისთვის საბრძოლო ტანკებისა და თვითმფრინავების მიყიდვას.

25 https://en.wikisource.org/wiki/Executive_Order_12170

26 http://www.reuters.com/article/us-iran-nuclear-sanctions-factbox-sb-idUSTRE59C22020091013

27 https://en.wikisource.org/wiki/Executive_Order_12957

28 https://en.wikisource.org/wiki/Executive_Order_12959

29 http://www.armscontrolwonk.com/archive/600517/exiles-and-iran-intel/

30 ირანზე სანქციების დაწესების მთავარი მიზეზი ბირთვული პროგრამა იყო, თუმცა ევროკავშირის მიერ დაწესებული ზოგი სანქცია ადამიანის უფლებებს უკავშირდებოდა, ხოლო აშშ-ის მიერ დაწესებული ზოგი სანქცია - ტერორიზმს. ეს სანქციები არ გაუქმებულა.

31 სრულად არის აღებული შემდეგი მასალიდან http://news.yahoo.com/overview-international-sanctions-against-iran-214805012.html

აშშ (შეეხო დაახლოებით 100 ორგანიზაციას)	- 1979 წლის ნოემბერი: ვაშინგტონი იწყებს ირანთან ამერიკული ბიზნესებისა და ცალკეული ამერიკელების ვაჭრობის აკრძალვას, თუ ამაზე ფინანსთა სამინისტროს ნებართვა არ არსებობს თეირანში აშშ-ის საელჩოში მძევლების აყვანის საპასუხოდ.
	- 1995 წლის ივნისი: აშშ ფართო ეკონომიკურ ემბარგოს აწესებს ირანზე.
	- 2008 წლის ნოემბერი: ვაშინგტონი უკრძალავს აშშ-ის ბანკებს, მონაწილეობა მიიღონ იმ გადარიცხვებში, რომლებშიც ირანი ფიგურირებს.
	- 2010 წლის ივლისი: კანონი ეხება ბენზინის მიწოდების აკრძალვას ირანისთვის, რომელიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გადამუშავებულ პროდუქტებზე; ასევე, ეხება უცხოურ ფირმებს, რომლებიც ირანის ენერგოსექტორში აბანდებენ ინვესტიციებს.
	- 2011 წლის ნოემბერი: ვაშინგტონი აძლიერებს სანქციებს საქონლის, მომსახურებისა და ტექნოლოგიების მიწოდებაზე ირანის ნავთობქიმიკატების სექტორისთვის. დეკემბერში გაიყინა იმ უცხოური საფინანსო ინსტიტუტების აქტივები, რომლებიც ირანის ცენტრალურ ბანკთან ბენზინის სექტორში ვაჭრობენ.
	- 2012 წლის ივლისი: აშშ ახალ ეკონომიკურ სანქციებს აწესებს ირანის ნავთობის ექსპორტსა და ორ ბანკზე, რომლებსაც თეირანთან გარიგებების წარმოებაში ადანაშაულებენ.
	- 2013 წლის ივნისი: ვაშინგტონი აწესებს სანქციებს რიალის ვალუტასა და ავტომობილების სექტორზე.
ევროკავშირი (შეეხო 92 ირანელს და 466 კომპანიასა თუ ჯგუფს, მათ შორის ირანის ცენტრალურ ბანკს)	- 2010 წლის ივნისი: ევროკავშირი კრძალავს ირანისთვის ტექნიკური დახმარების გაწევას ან ნავთობტექნოლოგიების გადაცემას. იგი ასევე კრძალავს ზოგიერთი ირანული ბანკის საქმიანობას და ზრდის გაეროს მიერ შედგენილ იმ ადამიანთა სიას, რომლებსაც ეკრძალებათ სხვა ქვეყნებში მგზავრობა.
	- 2011 წლის მაისში და შემდეგ, დეკემბერში ევროკავშირი ყინავს 243 ირანული ორგანიზაციის აქტივებს და იმ 40-ზე მეტი ინდივიდის აქტივებს, რომლებსაც ვიზის მიღება ეკრძალებათ.
	- 2012 წლის იანვარი: ევროკავშირი ამტკიცებს აკრძალვას ირანის ნავთობის იმპორტზე და ყინავს ირანის ცენტრალური ბანკის აქტივებს.
	- 2012 წლის ოქტომბერი: ახალი სანქციები წესდება ევროკავშირის გარიგებებზე ირანულ ბანკებთან, საქონლის ტრანსპორტირებასა და ბუნებრივი აირის იმპორტზე.
	- 2012 წლის დეკემბერი: ევროკავშირი აფართოებს საკუთარ შავ სიას.

სანქციებმა პირდაპირი და ირიბი ზეგავლენა მოახდინეს ირანის ეკონომიკაზე. პირველ რიგში, 2012 წელს აშშ-ის მიერ დაწესებულმა სანქციებმა ყველაზე ძლიერი დარტყმა ნავთობის ინდუსტრიას მიაყენა. მართალია, ჩინეთი, რომელიც ირანული ნავთობის უმსხვილესი მომხმარებელია, შედარებით მდგრადი აღმოჩნდა აშშ-ის ზეწოლის მიმართ და მან ირანული ნავთობის შესყიდვა გააგრძელა, მაგრამ ზოგმა სხვა ქვეყანამ, როგორებიცაა სამხრეთ აფრიკა, საბერძნეთი თუ იაპონია, შეწყვიტა ან მნიშვნელოვნად შეამცირა ირანული ნავთობის მოხმარება.[32,33] ინდურმა კომპანიებმაც ვერ გაუძლეს აშშ-ის ზეწოლას და ირანიდან ნავთობის იმპორტი თითქმის ორჯერ შეამცირეს.[34] ამან ირანი არა მარტო მნიშვნელოვნად დააზარალა, არამედ შესაძლებლობა მისცა მის მთავარ რელიგიურ და ეკონომიკურ მეტოქეს, საუდის არაბეთს, პროცესში ჩართულიყო და დეფიციტი შეევსო.

თუმცა, სანქციების გავლენა ირანის ეკონომიკაზე ნავთობის სექტორს ბევრად გასცდა. აშშ-ის ზეწოლამ მნიშვნელოვანი სირთულეები შეუქმნა ზოგ ფირმასა და ქვეყნებსაც კი ირანთან ბიზნესის წარმოებაში. როდესაც სანქციებს ევროკავშირი შეუერთდა, ბევრ ირანულ ბანკს დანარჩენ მსოფლიოსთან ბიზნესის წარმოების შესაძლებლობა დაებლოკა, ვინაიდან ბელგიური კომპანია SWIFT-ი, რომელიც ხელს უწყობს ყველა საერთაშორისო გადარიცხვას, ევროკავშირის სანქციებს უნდა დამორჩილებოდა.[35] ფინანსური სანქციები მხოლოდ SWIFT-ით არ შემოფარგლულა; 2010 წლის მიწურულს, ინდოეთის სარეზერვო ბანკმა საკუთარ კრედიტორებს უბრძანა, შეეწყვიტათ ირანთან მიმდინარე ანგარიშების ტრანზაქციების განხორციელება აზიის კლირინგული კავშირის მეშვეობით, რომელიც სამხრეთ აზიასთან ვაჭრობის გასაადვილებლად გაერომ 1974 წელს შექმნა და თეირანში მდებარეობდა.[36] 2009 წლის შემდეგ ირანმა სცადა ინდური კომპანიების დარწმუნება, გამოეყენებინათ აზიის კლირინგული კავშირი ფინანსურ გარიგებებზე სანქციების თავის ასარიდებლად, თუმცა აშშ-ის ზეწოლამ საბოლოოდ შედეგი გამოიღო.[37]

---

32 http://www.nytimes.com/2012/04/04/world/middleeast/impact-of-iran-sanctions-widens.html

33 http://www.wsj.com/articles/SB10001424052702304636404577295104273175364

34 http://articles.economictimes.indiatimes.com/2012-01-17/news/30635696_1_iranian-crude-vadinar-refinery-hydrogen-manufacturing-unit

35 http://www.businessinsider.com/iran-banking-swift-2012-3

36 http://www.wsj.com/articles/SB10001424052970203513204576046893652486616

37 ირანმა სხვა გზა გამონახა და დოლარის და ევროს ნაცვლად ოქროთი ვაჭრობა დაიწყო თურქულ ჰალკბანკთან, რაც 2013 წლის შუა პერიოდამდე არ იყო აშშ-ის მიერ აკრძალული; ამ აკრძალვის დაწესების პერიოდისთვის თურქეთსა და ინდოეთს ირანულ ენერგორესურსებში დაახლოებით 10 მილიარდი აშშ დოლარი ჰქონდათ ოქროთი გადახდილი; http://www.telegraph.co.uk/news/worldnews/europe/turkey/10540423/Turkeys-politicians-gold-dealer-and-the-pop-star.html

ისტორიულად, მთელ ქვეყანაზე დაწესებულ სანქციებს, ჩვეულებრივ, მძიმე შედეგები მოაქვს ამ ქვეყნის მოქალაქეებისთვის; მაგალითად, UNICEF-ის ინფორმაციით, ერაყზე დაწესებული სანქციების შედეგად ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი 3,510 აშშ დოლარიდან 1989 წელს 450 აშშ დოლარამდე დაეცა 1996 წელს,[38] რაც უზარმაზარი კლებაა. ირანი, ერაყთან (ან კუბასთან) შედარებით, ბევრად უფრო თვითკმარი ქვეყანაა, მაგრამ უდავოა, რომ სანქციებმა მნიშვნელოვანი უარყოფითი გაელენა მოახდინა ირანის მოქალაქეების კეთილდღეობაზე.

სანქციების გაუქმება – შესაძლებლობები

2016 წლის 17 იანვარს. მას შემდეგ, რაც წინა ღამეს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ, ატომური ობიექტების მაკონტროლებელმა გაეროს ორგანომ, განაცხადა, რომ ირანმა, თავის მხრივ, 2015 წლის ივლისის შეთანხმება შეასრულა, ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული სანქციები გაუქმდა.[39] ევროკავშირმა სრულად მოხსნა ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით მის მიერ დაწესებული სანქციები, ხოლო აშშ-მ მისი სანქციების მხოლოდ ნაწილი გააუქმა, მათ შორის ემბარგო ირანთან არაამერიკელი მოქალაქეების მიერ საქონლით ვაჭრობასა და არაამერიკული კომპანიების მიერ ბიზნესის კეთებაზე; ასევე, არაამერიკელი მოქალაქეებისთვის ძალიან დამაზარალებელი სანქცია, რომლითაც ნედლი ნავთობის, ბუნებრივი აირისა და ნავთობქიმიკატების ირანში და ირანიდან იმპორტ/ექსპორტის დაზღვევა/გადაზღვევა იკრძალებოდა; სანქციები, რომლებითაც კომპანიებს ირანის ენერგოსექტორში ინვესტირება, ან ნედლი ნავთობის, ნავთობპროდუქტების თუ ნავთობქიმიკატების ირანისგან შესყიდვა ეკრძალებოდათ.[40] აშშ-ის მიერ დაწესებული რიგი სანქციები ძალაში რჩება, მათ შორის აშშ-ის სავაჭრო ემბარგო და აშშ დოლარით ნებისმიერი ტრანზაქციაზე აკრძალვა (რადგან ეს ტრანზაქციები აშშ-ის ბანკების გავლით უნდა მოხდეს).[41]

სანქციების ზემოაღნიშნული გაუქმება უზარმაზარი ბიძგი იქნება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორისთვის: ენერგო-სანქციების მოხსნა ნიშნავს ნავთობის ექსპორტის შესაძლო გაზრდას 10 მილიარდი დოლარით; დაახლოებით 30 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების გაყინული აქტივები (ირანის ცენტრალური ბანკის თანახმად) ქვეყანას და-

38 http://www.unicef.org/evaldatabase/index_29697.html
39 http://www.aljazeera.com/news/2016/01/iran-rejoins-world-economy-sanctions-lifted-160117132734049.html
40 http://blogs.platts.com/2016/01/19/iran-post-sanctions-oil-plans-market-impact/
41 იქვე.

უბრუნდება; საერთაშორისო სავალუტო ფონდი მშპ-ის 5%-იან ზრდას ვარაუდობს 2016-2017 წლებში ამჟამინდელ თითქმის ნულოვან ზრდასთან შედარებით; ირანის პირველი ვიცეპრეზიდენტის ეშაკ ჯაჰანგირის თქმით, სანქციებმა ირანთან ვაჭრობის ხარჯი 15%-ით გაზარდა და მათი გაუქმებით გაიაფებული ვაჭრობა ქვეყანას წლიურად 15 მილიარდ აშშ დოლარს დაუზოგავს.[42]

ირანის ეროვნული გაზის კომპანიის მმართველი დირექტორი ჰამიდრეზა არაკი კი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო სანქციების მოხსნის შემდეგ, ირანის ბუნებრივი აირის ინდუსტრია აყვავდება და მყარად მოიკიდებს ფეხს საერთაშორისო ბაზრებზე.[43] ევროპა, რომელსაც პოლიტიკურად მოტივირებული „გაზპრომისგან" დივერსიფიკაცია სურს, სიხარულით შეეგებება შესაძლებლობას, მიიღოს ბუნებრივი აირი ახალი მნიშვნელოვანი წყაროდან. მაგალითად, ირანის ნავთობის მინისტრის ბიჟან ნამდარ ზანგენეჰის თქმით, რომელიც ჩეხეთის მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრს, იან მლადეკს, თეირანში შეხვდა, ჩეხეთის რესპუბლიკას ირანიდან ბუნებრივი აირის იმპორტირება სურს,[44] ხოლო ევროკავშირის მაღალჩინოსნები უკვე გეგმავენ ირანში „ტექნიკური შეფასების მისიას", რათა საერთაშორისო სანქციების გაუქმების შემდეგ ენერგოკავშირები შეისწავლონ. კლიმატისა და ენერგეტიკის სფეროში ევროკომისრის არიას კანეტეს თქმით, თანამშრომლობის პოტენციური სფეროები ენერგეტიკის ყველა დარგს მოიცავს – ატომურ ენერგიას, ნავთობს, ბუნებრივ აირს, განახლებად ენერგიას და ენერგოეფექტურობას.[45]

სანქციების გაუქმების შემდგომი ნავთობის გაყიდვის პირველი გარიგება ირანმა უკვე დადო ევროკავშირთან – 2016 წლის 23 იანვარს, ირანის ნავთობის ეროვნულმა კომპანიამ გრძელვადიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი საბერძნეთის უმსხვილეს გადამამუშავებელ ქარხანასთან, ჰელენიკ პეტროლიუმთან.[46]

იმის გარდა, რომ ირანი ნავთობის ბაზრებზე მსხვილი საერთაშორისო მოთამაშის პოზიციას აღიდგენს, ის ასევე წვდომას დაიბრუნებს მსხვილ თანხებთან, რომლებიც სანქციების გამო იყო გაყინული. „ირანული ნავთობის ექსპორტი-

42 http://www.bbc.com/news/business-35317159

43 http://www.iraniangas.ir/Portal/Home/ShowPage.aspx?Object=NEWS&CategoryID=d742c5d2-8f41-4f7b-87f5-897ccca92214&WebPartID=90f457d1-1380-415d-a274-8304828f510f&ID=fd-598c4d-0f15-41a6-b57d-1e263218ab99

44 http://www.iraniangas.ir/Portal/Home/ShowPage.aspx?Object=NEWS&CategoryID=d742c5d2-8f41-4f7b-87f5-897ccca92214&WebPartID=90f457d1-1380-415d-a274-8304828f510f&ID=8b515098-5b82-492a-b8bd-5a5c644f25a4

45 http://uk.reuters.com/article/iran-nuclear-eu-idUKL8N15109W

46 http://www.wsj.com/articles/greeces-hellenic-petroleum-to-buy-iranian-oil-1453554806

სა და სავაჭრო ნაკადების ეკონომიკურ ანალიზზე და საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და აშშ-ის მთავრობის გათვლებზე დაყრდნობით, ანგარიშში დადგინდა, რომ ირანის ხელისუფლებას 90-120 მილიარდი აშშ დოლარის საგარეო აქტივები აქვს".[47] ამ ანგარიშის ავტორები ასევე ფიქრობენ, რომ სანქციების გაუქმების შედეგად ეკონომიკური ზრდის ტემპი 2016/17 წლებში 4%-5%-ით მოიმატებს იმპორტის კუთხით, ხოლო ნავთობის ექსპორტის კუთხით ზრდა კიდევ უფრო მაღალი იქნება.[48]

სხვა სექტორები, რომლებიც სანქციების გაუქმებით ისარგებლებს, არის მანქანათმშენებლობის ინდუსტრია და ფარმაცევტული წარმოება, რომლებიც სანქციების დაწესებამდე წამყვან საექსპორტო დარგებს წარმოადგენდა.

სანქციების მოხსნის შემდგომი ვაჭრობითა და გაყინული აქტივების დაბრუნებით მიღებული შემოსავლები ხელს შეუწყობს ირანში ცხოვრების სტანდარტების ამაღლებას, განსაკუთრებით თუ გავითვალსიწინებთ, რომ ნავთობის ფასები ამ ათწლეულის ყველაზე დაბალ ნიშნულამდე შემცირდა. საზოგადოება უკეთეს სოციალურ და ეკონომიკურ პირობებს მოელის და ამიტომ, ირანის მთავრობამ ფოკუსირება ადგილობრივ ეკონომიკასა და ინფრასტრუქტურულ პროექტებში ინვესტირებაზე უნდა გააკეთოს.[49]

ირან-საქართველოს ეკონომიკური კავშირები

საქართველოსა და ირანს შორის ურთიერთობები ჯერ კიდევ ჩვ.წ. V-VI საუკუნეებით თარიღდება, როდესაც აქემენიანების იმპერიამ, რომელიც ინდოეთის საზღვრებიდან თანამედროვე საბერძნეთის აღმოსავლეთ ნაწილებამდე იყო გადაჭიმული, კოლხეთის სამეფო დაიპყრო. მას შემდეგ ეს ორი ქვეყანა, უმეტესად, ან ერთმანეთს ეომებოდა ან მტრულად იყო ერთმანეთის მიმართ განწყობილი, სანამ რუსეთი საქართველოს ოკუპაციას მოახდენდა. თუმცა, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1992 წლიდან მოყოლებული, საქართველოს ირანთან აქტიური დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობები აქვს და მშფოთვარე წარსული დღეს სრულიად მივიწყებულია.

ამ ორ ქვეყანას შორის გაფორმებული 47 ორმხრივი შეთანხმებისა და ხელშეკრულებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ენერგეტიკის და ტრანსპორტირების სფეროებში თანამშრომლობას, ასევე სავაჭრო და ეკონომიკურ ურთიერთობებს ეხება. ირანი ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანი იყო, რომელ-

47 http://www.defenddemocracy.org/media-hit/economic-analysis-reveals-extent-of-sanctions-relief-to-iran/

48 http://www.defenddemocracy.org/content/uploads/publications/FDDRoubini_Report_Irans_mysterious_shrinking_reserves.pdf

49 http://uk.reuters.com/article/uk-iran-nuclear-funding-analysis-idUKKBN0OA0Z920150525

საც საქართველოში უვიზო რეჟიმი ჰქონდა 2013 წლის შუა პერიოდამდე, როდესაც საქართველოს მთავრობამ ეს სავიზო რეჟიმი გააუქმა და პრაქტიკულად, ქვეყანაში შემოსვლაზე უარი უთხრა საქართველოში ვიზიტორთა რაოდენობით მე-6 დიდი ქვეყნის (თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთის და უკრაინის შემდეგ) მოქალაქეებს, რის შედეგადაც ირანელი ვიზიტორების რაოდენობა 2015 წელს თითქმის 72%-ით შემცირდა 2012 წლის მაჩვენებელთან შედარებით.[50]

ირანი, ჯერჯერობით, საქართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორად არ ჩამოყალიბებულა. 2015 წელს, ირანი სიდიდით მე-12 საექსპორტო ქვეყანა იყო, სადაც ქართული ექსპორტის 1.62% გადიოდა და ასევე, სიდიდით მე-12 იმპორტიორი ქვეყანა, საიდანაც საქართველოს იმპორტის 1.19% შემოდიოდა. ეს ციფრები ოდნავ აღემატება ირანის საშუალო წილს საქართველოს ვაჭრობაში (იმპორტის 0.89% და ექსპორტის 0.99% 1995-2015 წლებში).

ამ დაბალი ციფრების მიუხედავად, ირანი დახერხილი ხე-ტყის მასალის (სასაქონლო კოდი 4407) საექსპორტო მნიშვნელოვანი ქვეყანაა, რომელშიც 2015 წელს მთლიანი ექსპორტის 46.8% გავიდა, ხოლო 2006 წლიდან 23.3%. კიდევ ერთი პოტენციურად მნიშვნელოვანი ექსპორტის კატეგორიაა ავტომობილების და მანქანების რე-ექსპორტი, რომლის 5.5% ირანში გავიდა 2015 წელს. რე-ექსპორტის ტრადიციულ ბაზრებზე – სომხეთში, აზერბაიჯანსა და ყაზახეთში, მანქანების ექსპორტირებაში არსებული პრობლემების გათვალისწინებით, საქართველოს შეუძლია ირანზე სანქციების გაუქმება ამ სექტორის შესაძლებლობად გამოიყენოს. სხვა აღსანიშნავი საექსპორტო საქონელი მოიცავს ფეროშენადნობებს, ფოლადს და ფოლადის წნელებს, ცხვრებსა და თხებს და რეზინის ახალ საბურავებს, თუმცა ამ უკანასკნელის გარდა (8.16% 2006-2015 წლების მთლიან ექსპორტში), ზემოთ ჩამოთვლილი საექსპორტო საქონლის წილი უმნიშვნელოა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ვაჭრობაში ირანის წილი საკმაოდ დაბალია, მასში წამყვან ადგილს ის საქონელი იკავებს, რომლის იმპორტირებისთვისაც ირანი, როგორც ჩანს, მთავარი წყაროა: 2006-2015 წლებში ირანიდან იმპორტირებული იქნა ნავთობის კოქსი – 57.8%; თერმულად გაპრიალებული მინა – 57%; ყურძენი – 51% და პარკები და ტომრები – 33%, რაც იმას ნიშნავს, რომ ირანი შეიძლება მიჩნეული იქნეს მსხვილ სავაჭრო პარტნიორად ოღონდ რამდენიმე სპეციფიკური საქონლის იმპორტში.

50 http://gnta.ge/ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/

ექსპორტი	1,000 აშშ დოლარი	იმპორტი	1,000 აშშ დოლარი
ხე-ტყის მასალა, გასწვრივ დახერხილი ან დაპობილი, სისქით 6 მმ-ზე მეტი	30112.6	ნავთობის კოქსი, ნავთობის ბიტუმი და ნავთობის გადამუშავების სხვა ნარჩენები	210075.2
მსუბუქი ავტომობილები და მანქანები ადამიანების ტრანსპორტირებისთვის	27900.4	მოსაპირკეთებელი ფილები კერამიკული, მოჭიქურებული	57555.9
წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან, შემდგომი დამუშავების გარეშე	19583.8	მინა თერმულად გაპრიალებული და მინა მქრქალი ან გაპრიალებული ზედაპირით	50477.4
ფეროშენადნობები	14608.7	ორგანული საღებავები, სარეცხი და საწმენდი საშუალებები	34073.4
ცენტრიფუგები; აგრეგატები სითხის ან აირის საფილტრავი ან გასაწმენდი	13507.6	პოლიმერები ეთილენისა, პირველადი ფორმებით	32474.8
ნივთიერებები შემკვრელი მზა, სამსხმელო ფორმების წარმოებაში გამოსაყენებელი, მათ შორის ქიმიური ან მრეწველობის მომიჯნავე დარგების ნარჩენი პროდუქტები	6194.8	ნავთობპროდუქტები და ბიტუმის მინერალი	26376
რეზინის პნევმატური საბურავები, ახალი	4162.9	ტომრები და პაკეტები შესაფუთი	20719.9
ცხარი და თხა, ცოცხალი	4109.1	მინის ჭუჭელი, მინის ნაწარმი	20412.4
ალუმინის ოქსიდი (მათ შორის ხელოვნური ძოწი), ალუმინის ჰიდროქსიდი	3836.1	საფუარი, მზა საცხობი ფხვნილები	9803.8
სისხლი ადამიანისა; სისხლი ცხოველებისა; შრატები, ვაქცინები, სხვა	3775.3	ყურძენი, ახალი ან გამხმარი	9209

რაც ეხება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ირანიდან ინვესტიციები, პრაქტიკულად, არ არსებობს და მისმა წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 0.1%-ზე ნაკლები (დაახლოებით 9.2 მილიონი აშშ დოლარი) შეადგინა 2006-2015 წლებში. ბოლო 2 წლის განმავლობაში ირანმა ინვესტირება ძირითადად გადამამუშავებელ მრეწველობაში (2.039 მილი-

ონი აშშ დოლარი) და უძრავ ქონებაში (1.900 მილიონი აშშ დოლარი) მოახდინა; ასევე ინვესტიციები მიედინება სოფლის მეურნეობასა და მეთევზეობაში (3.104 მილიონი აშშ დოლარი). უნდა აღინიშნოს რომ ირანიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა 2012-2013 წლებში დაიწყო, მაგრამ 2014-2015 წლებში დრამატულად შემცირდა, სავარაუდოდ, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების გამო, ირანთან სავიზო რეჟიმი შემოღების და ირანის მოქალაქეთა ქვეყანაში ყოფნის ხანგრძლივობის შეზღუდვის შესახებ.[51]



როგორც ზემოთ აღინიშნა, 2013 წლამდე ირანი საქართველოში უვიზო რეჟიმით სარგებლობდა და ამ რეჟიმის გამკაცრებამ ვიზიტორების მკვეთრი კლება გამოიწვია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მსგავსად, ირანელი ტურისტების რაოდენობამ პიკს 2013 წელს მიაღწია, ხოლო მათი მატების ტენდენცია აშკარა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ირანელი ტურისტების წილი დიდი არ იყო, სანქციების მოხსნის შედეგად ეს აღმავალი ტენდენცია სავარაუდოდ შენარჩუნდებოდა და გაიზრდებოდა და ირანიდან ვიზიტორები შესაძლოა კაპიტალის შემოდინების კიდევ ერთ მნიშვნელოვან წყაროდ ქცეულიყვნენ.

51 ირანიდან ფულადი გზავნილების ხსენება არც კი ღირს, რადგან მთლიანმა ბრუნვამ (შემოდინების და გადინების ჯამმა) 347,700 აშშ დოლარი შეადგინა 2010 წლიდან.



პოტენციური თანამშრომლობა – უსაფრთხოების სფერო, ენერგეტიკის სექტორი და მათ მიღმა

„მათ მიღმა" საქართველოსთვის უდიდეს შესაძლებლობას წარმოადგენს; ამიტომ, ირანის მიმართ საქართველოს პოლიტიკის კონცეპტუალური სათაური შეიძლება ასეთი იყოს „კარი ევროპაში". ამ პოტენციალის რეალიზება კომპლექსურ და კარგად გააზრებულ მიდგომას საჭიროებს. პირველ რიგში უნდა გაიზარდოს პოლიტიკური ჩართულობა, რათა გაფართოვდეს საკითხებზე ფოკუსირებული თანამშრომლობის დღის წესრიგი. მეორე, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკებში იმ მთავარი წინააღმდეგობრივი ფაქტორების მინიმუმამდე შემცირება, აღმოფხვრა ან შეთანხმება, რომლებიც აშშ-საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორობას, NATO-ში გაწევრიანების მისწრაფებასა და საქართველო-ისრაელის ურთიერთობებს უკავშირდება. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ რეგიონის ექვს წამყვან ქვეყანას შორის (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ირანი, თურქეთი და რუსეთი) მხოლოდ ირანია ის ქვეყანა, რომელსაც ყველა დანარჩენთან დიპლომატიური ურთიერთობები აქვს, ამ საკითხის სირთულეზე მიუთითებს და გამოწვევებთან ერთად, მნიშვნელოვან ეკონომიკურ შესაძლებლობებს სთავაზობს საქართველოს.

პოლიტიკური ურთიერთობები

საქართველო-ირანის ურთიერთობების არსებული დღის რეჟიმი შედარებით შეზღუდულია და დაუგეგმავი/შემთხვევითი ვიზიტებითა და კონსულტაციებით შემოიფარგლება. საქართველო-ირანის პარტნიორობის სტრატეგიული მიზნის რეალიზებისთვის პოლიტიკური დღის წესრიგის გაფართოებაა საჭირო. პოლიტიკური ურთიერთობების გაფართოება მიზნად ორი რამის მიღწევას უნდა ისახავდეს: საერთო ინტერესების პოვნას და წინააღმდეგობრივი საკითხების მინიმიზებას ანუ, ბეწვის ხიდზე სიარულს[52] ქვეყნის ტრადიციულ პარტნიორებსა და მოკავშირეებთან ურთიერთობებში ბალანსის დასაცავად.

პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანი იქნება უფრო ფართო კომუნიკაციური არხების დამყარება მხარეთა პოზიციების უკეთ გასაგებად. მაღალ დონეზე პოლიტიკური ჩართულობის და პოლიტიკური ურთიერთობების გაფართოების გარეშე, შეუძლებელი იქნება „კარი ევროპაში" პოლიტიკის რეალიზება.

მრავალდონიანი ჩართულობა ეკონომიკის დარგში უფრო ფართო თანამშრომლობაზე ფოკუსირების შესაძლებლობებს გააჩენს, განსაკუთრებით გრძელვადიანი ეკონომიკური თანამშრომლობის სტრატეგიულ სფეროებში – კომუნიკაცია, ინფრასტრუქტურა და ინვესტიციები. პოლიტიკური ურთიერთობების მნიშვნელოვანი ელემენტი იქნებოდა კულტურული, საგანმანათლებლო და ხალხთა შორის ურთიერთობები.

ჯანსაღი და ორმხრივად სასარგებლო პოლიტიკური ურთიერთობები მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული დიპლომატიურ ძალისხმევაზე, შემცირდეს განსხვავებები უსაფრთხოების თვალსაზრისით.

უსაფრთხოების მოსაზრებები

ორმხრივი ურთიერთობების უსაფრთხოების კომპონენტი ფოკუსირებული უნდა იყოს რეგიონული უსაფრთხოების გაძლიერებაზე. ამ საკითხის რამდენიმე ასპექტის უკიდურესი სირთულისა და სენსიტიურობის გამო (განსაკუთრებით, სუვერენული თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკის არჩევანის გათვალისწინება), ეს თემა უსაფრთხოების დღის წესრიგის ცენტრალური საკითხი არ უნდა იყოს.

სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე ტერორიზმთან ბრძოლის და ენერგოუსაფრთხოების საკითხებში პოზიტიური თანამშრომლობის პოტენციალი არსებობს, მაგრამ აშშ-სთან, რუსეთსა და NATO-სთან ურთიერთობები, გარკვეული პერიოდის

52 http://edition.cnn.com/2012/06/15/world/europe/georgia-iran-west-relations/index.html

განმავლობაში, უთანხმოების საკითხებად დარჩება.

ირანის ხელისუფლება მუდმივად გამოხატავს შეშფოთებას უსაფრთხოების სფეროში საქართველოს აშშ-სთან მჭიდრო პარტნიორობის გამო და აცხადებს, რომ რეგიონში NATO-ს პოზიციების გაძლიერება არ წარმოადგენს რეგიონული სტაბილურების შენარჩუნების საუკეთესო გზას. თუმცა, ესმის რა საქართველოზე მისი ზეგავლენის შეზღუდული შესაძლებლობები, თეირანი სულ უფრო მეტად ახორციელებს თბილისის მიმართ ისეთ პრაგმატულ პოლიტიკას, რომელიც მის შეზღუდულ პოლიტიკურ რესურსებს შეესაბამება.[53]

მიუხედავად სანქციების გაუქმებისა, უსაფრთხოების და გეოპოლიტიკის რამდენიმე მთავარი ფაქტორი პოლიტიკის განხორციელებას გაართულებს: აშშ ირანს ტერორიზმის მთავარ დამფინანსებლად მოიაზრებს, რომელიც აგრძელებს ახლო აღმოსავლეთის რეგიონულ კრიზისებზე ზეგავლენის მოხდენას ისლამური რევოლუციური გვარდიის სპეციალური დანაყოფის – კოდსის არმიის (IRGC-QF), მისი ტერორისტული პარტნიორის – ლიბანური ჰეზბოლასა და სხვა მსგავსი ჯგუფების მეშვეობით. ის ასევე სამხედრო და ეკონომიკურ დახმარებას უწევს თავის მოკავშირეებს რეგიონში. ირანი და ჰეზბოლა განგრძობით ტერორისტულ საფრთხედ რჩება აშშ-ის ინტერესებისა და პარნტიორებისთვის მთელ მსოფლიოში.

ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში რუსეთი ირანული პოლიტიკის ცენტრიდან შორს არასდროს მდგარა – ხშირად როგორც კოლონიური მტერი, ზოგჯერ კი სასარგებლო მოკავშირე საერთო მტრის წინააღმდეგ.[54]

5+1 ჯგუფის მოლაპარაკებებში ერთობლივ კომუნიკეზე შეთანხმების მიღწევისთანავე რუსეთი თეირანს საქონელში ნავთობის გაცვლაზე შეუთანხმდა. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა, ასევე, ხელი მოაწერა ბრძანებას თვითდაწესებული სანქციის გაუქმებაზე, რომელიც S-300 ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო სისტემის ირანისთვის მიწოდებას კრძალავდა; ამ ნაბიჯით ერთ-ერთი ის მთავარი გამაღიზიანებელი ფაქტორი მოიხსნა, რომელიც ამ ორ ქვეყანას შორის 2010 წელს შესაბამისი კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ მოსკოვზე დასავლეთის ზეწოლის შედეგად გაჩნდა.[55]

---

53 Iran and Georgia: Genuine Partnership or Marriage of Convenience?, Kornely K. Kakachia,Tbilisi State University, PONARS Eurasia Policy Memo No. 186 September 2011. (https://www.gwu.edu/~ieresgwu/assets/docs/ponars/pepm_186.pdf)

54 A. Milani, Russia and Iran: An Anti-Western Alliance? Stanford University, December 2007, pp 328

55 Russia opens way to missile deliveries to Iran, starts oil-for-goods swap, Reuter, 13 April, 2013.

ევროკავშირის ბაზარზე შესვლის გარდა, ირანი რუსეთის ბაზარზე შესვლითაც არის დაინტერესებული. მართალია, ეკონომიკურად სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს, მაგრამ ეს საქართველოს უსაფრთხოების ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება. რუსეთ-ირანის პარტნიორობა და ირანის მცდელობა, რეგიონში შიიტური გავლენა გააფართოვოს, თურქეთის უსაფრთხოებასაც ეხება. უზენაესი ლიდერი ხამენეი შეერთებულ შტატებს ირანისთვის კვლავ ერთ-ერთ უმთავრეს საფრთხედ განიხილავს.[56]

უსაფრთხოების მრავალი რთული ასპექტიდან რამდენიმე ზემოაღნიშნული ასპექტის გათვალისწინებით, ირანის პოლიტიკის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან (მათ შორის, ქვეყნის უსაფრთხოებასთან) შესაძლებელია მხოლოდ მისი საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტებთან, კერძოდ ევროკავშირსა და NATO-ში ინტეგრაციის და აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის პრიორიტეტებთან მჭიდრო კორელაციის მეშვეობით.

ეკონომიკური პოტენციალი

ტრანსპორტი

სანქციების შემდგომი ქართულ-ირანული ურთიერთობები, სავარაუდოდ, რამდენიმე განსხვავებულ მიმართულებას მოიცავს. ჯერ ერთი, მნიშვნელოვან ენერგოექსპორტიორად ირანის ხელახლა აღმოცენება საქართველომ შეიძლება ბუნებრივი აირის ექსპორტის დივერსიფიცირების ახალ შესაძლებლობად გამოიყენოს, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა ახლა, საქართველო-გაზპრომის მოლაპარაკებების კონტექსტში. ვინაიდან ბუნებრივი აირის ფასი უფრო სწრაფად მცირდება, ვიდრე ნავთობის (თითქმის სამმაგი კლება 2014 წლის დასაწყისიდან[57]), საქართველოს შეუძლია კასპიის ზღვის აუზის ბუნებრივი აირის მიმწოდებლებს შორის კონკურენციიდან სარგებელი მიიღოს იმით, რომ საუკეთესო გარიგება მოიძიოს და გაიმყაროს საკუთარი პოზიცია როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგოდერეფნის მნიშვნელოვანმა მონაწილემ. თუ „გაზპრომთან" მოლაპარაკებები მართლაც დივერსიფიცირების საჭიროებიდან გამომდინარეობს, ირანიდან მოწოდების გახსნა ნამდვილად უკეთეს დივერსიფიკაციას უზრუნველყოფს, რომელსაც დაემატება ის სარგებელი, რომ ქვეყანა რუსეთის ენერგოგიგანტზე არ იყოს დამოკიდებული, რომელსაც კრემლი გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევ იარაღად იყენებს.

56 http://docs.house.gov/meetings/IG/IG00/20160225/104550/HHRG-114-IG00-Wstate-ClapperJ-20160225.pdf

57 http://www.nasdaq.com/markets/natural-gas.aspx?timeframe=3y

2015 წლის დეკემბერში, სომხეთის, საქართველოს, ირანისა და რუსეთის წარმომადგენლები ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის საკითხების და რამდენიმე რეგიონული პროექტის განსახილველად შეიკრიბნენ.[58] განსახილველ საკითხებს შორის იყო საქართველოდან და სომხეთიდან ელექტროენერგიის ირანში იმპორტი, რადგან საქართველოს გაზაფხულსა და ზაფხულში ელექტროენერგიის ჭარბი რაოდენობა აქვს, ხოლო ირანს – პირიქით.[59,60] ამავე დროს, 2016 წლის თებერვალში როჰანისა და სომხეთის პრეზიდენტის სერჟ სარგსიანის საუბარში ხაზი გაესვა ირანული გაზის სომხეთსა და საქართველოში იმპორტირების შესაძლებლობას შავი ზღვის გავლით,[61] ხოლო უფრო ადრე, იანვარში, ირანული გაზის ექსპორტის ეროვნული კომპანიის მმართველმა დირექტორმა, ალიზერა კამელიმ, აღნიშნა, რომ საქართველოსა და ირანს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობდა სომხეთის გავლით საქართველოსთვის ირანული გაზის მიწოდებაზე.[62] მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ნამდვილად შეეცდება სომხეთზე ზეგავლენის მოხდენას, რათა ხელი შეუშალოს ამ მიმართულებით ირანის წინსვლას,[63] ეს მაინც სიცოცხლისუნარიანი ვარიანტი და ის კურსია, რომელიც აღებული უნდა იქნეს.

საქართველოს ასევე შეუძლია ირანული ნავთობის ევროპაში ტრანსპორტირების იაფი გზა უზრუნველყოს. პრაქტიკულად, ირანს ევროპაში ნავთობის ტრანსპორტირების ოთხი ვარიანტი აქვს: (i) ტანკერებით სპარსეთის ყურისა და სუეცის არხის გავლით; საქართველოსა და შავი ზღვიდან (ii) სომხეთის და (iii) აზერბაიჯანის გავლით; და (iv) თურქეთის გავლით. ხანგრძლივი უთანხმოების შემდეგ თურქეთსა და აზერბაიჯანთან ურთიერთობების დათბობის მიუხედავად (ცოტა ხნის წინ რეჯებ ტაიპ ერდოღანიცა და ილჰამ ალიევიც ირანს სტუმრობდნენ), ბოლო ორი ვარიანტი, ამჟამად, ნაკლებ სავარაუდო ჩანს, განსაკუთრებით, თურქეთის მიმართულება იმის გამო, რომ ამ ქვეყანას ირანის მტერთან, დაეშთან, ბუნდოვანი ურთიერთობები აქვს. რაც შეეხება სპარსეთის ყურის ვარიანტს, ირანს ახ-

58 http://armenpress.am/eng/news/830573/armenia-iran-georgia-and-russia-initiated-energy-projects-of-regional-importance.html

59 http://www.jamestown.org/programs/edm/single/?tx_ttnews[backPid]=27&tx_ttnews[tt_news]=44939#.VtAxrpP6Jps

60 ელექტროენერგიის გადამცემი ხაზების რეგიონულ ქსელში ირანის პოტენციური ჩართვა შესაძლებლობას მისცემდა საქართველოს და ირანს თავისუფლად ევაჭრათ წარმოებული ელექტროენერგიით ერთმანეთთან და რაც უფრო მნიშვნელოვანია, მეზობელ ქვეყნებთან როგორც რეგიონში, ასევე ევროპაში.

61 http://www.eurasianet.org/node/77266

62 იქვე.

63 რაც შესაძლოა განსაკუთრებით ადვილი იყოს, რადგან „გაზპრომი“ სომხეთის გაზგამანაწილებელი ქსელის 100%-ს ფლობს

ლო აღმოსავლეთში უდიდესი ტანკერების კომპანიას აქვს და მილიონობით ბარელის ყოველდღიურად ტრანსპორტირება მისთვის რთული არ იქნება, თუმცა საქართველოს მილსადენის ვარიანტი შეუძლია შესთავაზოს; ამაში, შესაძლოა, ირანის დარწმუნება გახდეს საჭირო, მაგრამ ეს სავსებით რეალისტური შესაძლებლობაა.

თუმცა, საქართველო მხოლოდ ნავთობის ტრანსპორტირების კორიდორის ფუნქციით არ უნდა შემოიფარგლოს – ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა დიდი ხანია ფარდობით უპირატესობად განიხილება და საქართველოს ადვილად შეუძლია ლოგისტიკურ და სატრანსპორტო ჰაბად იქცეს. საქართველოსა და ირანს შორის მგზავრებისა და ტვირთის საავტომობილო ტრანსპორტირებაზე შეთანხმება უკვე არსებობს, რომელსაც 1993 მოეწერა ხელი[64] და ამრიგად, ირანის დარწმუნება, საქართველოს გავლით მოახდინოს საქონლის იმპორტირება და ექსპორტირება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ირანულ-ქართულ ეკონომიკურ ურთიერთობაში. განსაკუთრებით, როდესაც თბილისი-ფოთის გზის განახლება დასრულდება, ის მნიშვნელოვანი სატრანსპორტო არტერიის როლს შეასრულებს.

ამავე დროს, სერიოზული მსჯელობა მიმდინარეობს ირან-სომხეთის სარკინიგზო ხაზის მშენებლობაზე, რომელიც ამჟამინდელ ირან-აზერბაიჯანის რკინიგზის ალტერნატივა იქნება და ირანს შავ ზღვასთან საქართველოს გავლით დააკავშირებს. არსებობს საფრთხეც, რაზეც ჩვენს წინა გამოშვებაში „საქართველო და მისი მეზობლები" ვისაუბრეთ, რომ რუსეთი აფხაზეთ-სომხეთის რკინიგზის ვარიანტის გატანას შეეცდება, მაგრამ ამ საკითხზე საქართველოს მთავრობის მტკიცე პოზიციის და ირანისა და სომხეთისთვის აშკარა სარგებლის კომბინაციით, ეგრეთ წოდებული ჩრდილოეთ -სამხრეთის სატრანსპორტო დერეფნის საქართველოს მიმართულებამ უპირატესობა უნდა მოიპოვოს.

ბიზნესურთიერთობები

საქართველოსა და ირანს შორის სანქციების შემდგომი ურთიერთობების პოტენციური ეკონომიკური სარგებელი მხოლოდ ტრანსპორტირების სხვადასხვა შესაძლებლობებზე არ უნდა იყოს კონცენტრირებული. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ირანული ინვესტიციის წილი საქართველოში ღირებულებით გამოხატულებაში ძალიან უმნიშვნელოა, საქართველოში რეგისტრირებული ირანული ბიზნესების რაოდენობა 2010 წლის

64 https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398178 (ქართულ ენაზე).

შემდეგ 2 წელიწადში 100-დან 1,500-მდე გაიზარდა.[65] სანქციების გაუქმება იმას ნიშნავს, რომ საქართველო, რომელიც მანამდე გარკვეულწილად შეზღუდული იყო აშშ-სთან მისი ახლო ურთიერთობების და მასზე დამოკიდებულების გამო, უფრო გაიხსნება ირანული კაპიტალისთვის, ხოლო ირანმა, თავის მხრივ, ქართულ ეკონომიკაში ინვესტირება შეესაძლოა მომგებიანად მიიჩნიოს. თუ საქონლის ტრანსპორტირება მართლაც გაიზრდება, ირანი შეიძლება საქართველოში საწყობების მშენებლობით, პორტებსა და ინდუსტრიულ ზონებში ინვესტირებით დაინტერესდეს. ეს უდავოდ გამარტივდება ახლა, როდესაც ირანის მოქალაქეებზე დაწესებული სავიზო შეზღუდვები კვლავ გაუქმდა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სარგებელი, რომელსაც ირანული ინვესტიციის ზრდა მოიტანს, განსაკუთრებით რეგიონში ვალუტის ბოლოდროინდელი მერყეობის გათვალისწინებით, არის ის, რომ გაიზრდება უცხოური ვალუტის შემოდინება, რაც ლარის სტაბილიზაციას შეუწყობს ხელს.

საქართველომ ირანი საკუთარი პროდუქტების პოტენციურ ბაზრადაც უნდა განიხილოს. 80-მილიონიანი მოსახლეობა უზარმაზარ და პრაქტიკულად, ამოუწურავ ბაზარს წარმოადგენს და სანამ ეს ბაზარი მეტ-ნაკლები სიფრთხილით ეკიდება ამერიკულ კომპანიებს, ის ევროპულ ფირმებს გაუღებს კარს. საქართველოს შეუძლია ჩაერთოს როგორც ამერიკული კომპანიების წარმომადგენელი და შექმნას ერთობლივი საწარმოები (იმ დათქმით, რომ ამ სფეროში ჩვენ მნიშვნელოვანი გამოცდილება არ გვაქვს) და ახალი ტექნოლოგიები და სერვისები შესთავაზოს ირანის მოსახლეობას. ამავე დროს, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება საქართველოს შესაძლებლობას აძლევს, ირანელ ინვესტორებს ევროკავშირთან შეღავათიანი ვაჭრობის პოტენციური შესაძლებლობა შესთავაზოს (იმის გათვალისწინებით, რომ წარმოშობის წესების აუცილებელი მოთხოვნები დაცული იქნება ასოცირების ხელშეკრულების თანახმად). ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის პარალელურად ირანულმა ბიზნესმა სარგებელი შეიძლება ნახოს საქართველოში ერთობლივი საწარმოების დაფუძნებით, რომლებშიც სხვადასხვა საქონელი დამზადდება ევროკავშირში მათი შემდგომი ექსპორტირებისთვის. გარდა პირდაპირი ეკონომიკური ზრდისა, საქართველო მნიშვნელოვან სარგებელს მიიღებდა საკუთარ ტერიტორიაზე ირანული რესურსების და ევროპული სტანდარტის ტექნოლოგიებისა და ბიზნესპრაქტიკის შერწყმით.

65 უნდა აღინიშნოს, რომ სააკაშვილის მთავრობამ ირანთან ურთიერთობები 2011 წელს დაიწყო.

საქართველოს საკუთარი პროდუქტების ფართო სპექტრის შეთავაზებაც შეუძლია და ეს სასმელი და მინერალური წყლის რესურსებით უნდა დაიწყოს. ასევე, თუ გაზის/ნავთობის მილსადენის საკითხი დადგება, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მილების წარმოების სტიმულირების შესაძლებლობა გაჩნდება. საქართველოსა და ირანს შორის თანამშრომლობის სხვა პოტენციური მიმართულებები საქართველოს პრემიერმინისტრის გიორგი კვირიკაშვილის ირანში ვიზიტის შემდეგ გამოჩნდება.

ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის კიდევ ერთი პოტენციური სფერო საბანკო სექტორია. მცირე ზომის მიუხედავად, საქართველოს საბანკო სექტორი ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება რეგიონში და მისი გამძლეობა 2008 წლის ორმაგი კრიზისის დროს დადასტურდა – როდესაც საქართველო არა მარტო გლობალური ფინანსური კრიზისის, არამედ (და უპირველესად) რუსეთთან ომის წინაშე აღმოჩნდა, საქართველოს ბანკებმა ეს პერიოდი, პრაქტიკულად, უვნებლად გადაიტანეს. მეორე მხრივ, ირანული საბანკო სისტემა ბევრად დიდია, მაგრამ დაუფარავი კრედიტების მაღალი მაჩვენებელი მისი გაუმჯობესების საჭიროებაზე მეტყველებს. ირანული ბანკები მსოფლიო საფინანსო სისტემისგან საკმაოდ დიდხანს იყვნენ მოწყვეტილები და საქართველოს საბანკო სისტემამ შეიძლება ისინი ხელსაყრელი გასასვლელი არხით უზრუნველყოს.

დასკვნა

ირანის საკითხი საგარეო, ეკონომიკური და უსაფრთხოების პოლიტიკის ყოვლისმომცველი დღის წესრიგის ნაწილი უნდა გახდეს. ამ პოლიტიკის უსაფრთხოების ელემენტი ძლიერი და მრავალგანზომილებიანი უნდა იყოს. ეს მოითხოვს ჰოლისტიკურ, მთავრობის ერთობლივ მიდგომას, რომელსაც კოორდინირების ეფექტიანი მექანიზმი ექნება როგორც მთავრობაში, ასევე საქართველოს უცხოელ პარტნიორებს შორის (ორმხრივად მთავარ სტრატეგიულ პარტნიორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან).

ამ პოლიტიკის კონკრეტულ პრიორიტეტებში უნდა შედიოდეს ღრმა ეკონომიკური ურთიერთობების ხელშეწყობა და უსაფრთხოების პრობლემების მინიმუმამდე შემცირება. პოლიტიკა, ასევე, უნდა მოიცავდეს რისკის ყოვლისმომცველ შეფასებას და პოლიტიკის ალტერანტიულ ვარიანტებს და ტრანზიციის მექანიზმებს სხვადასხვა გაუთვალსიწინებელი სიტუაციებისთვის – ირან-დასავლეთის ურთიერთობების გაუარესებიდან დაწყებული მათი მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით დამთავრებული.

დღემდე, საქართველოსა და ირანს შორის ეკონომიკური ურთიერთობები ინტენსიური არ ყოფილა და არც ერთი მათგანი მეორისთვის განსაკუთრებით

მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორი არ ყოფილა. თუმცა, ახლა, როდესაც სანქციები გაუქმდა და ირანი გლობალურ ეკონომიკაში რეინტეგრირებას იწყებს, საქართველო შეიძლება ღირებული პარტნიორი აღმოჩნდეს და ირანს შესთავაზოს სატრანსპორტო დერეფანი, ბაზარი ირანული საქონლისთვის, ევროკავშირთან შეღავათიანი ვაჭრობის შესაძლებლობები და საკუთარი პროდუქტები – მინერალური წყლები, ხე-ტყის მასალა და სხვა.

ირანთან თანამშრომლობით საქართველოს შეუძლია ფინანსური და პოლიტიკური სარგებელი მიიღოს. ბუნებრივი აირის კიდევ ერთი წყარო, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც დივერსიფიკაციაზე საუბრები ასე ხმამაღლა ისმის, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს დასაცავად „გაზპრომის" გავლენისგან. ირანთან ვაჭრობა ჩვენ პროდუქტებს და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ჩვენ სერვისებს დიდი ბაზრით უზრუნველყოფს. მეორადი მანქანების რეექსპორტი (რომელიც გასულ წელს გაიზარდა) შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს ძალისხმევის ვექტორის შესაცვლელად ევრაზიის საბაჟო კავშირის ქვეყნებიდან ირანისკენ. საქართველო შეიძლება ცენტრადლური პუნქტი თუ არა, მნიშვნელოვანი სამიზნე ქვეყანა გახდეს ირანული ინვესტიციებისთვის და მიუხედავად იმისა, რომ ირანული ბიზნესების უმეტესობა, რომლებიც საქართველოში შემოვიდა, მცირე ბიზნესის კატეგორიას მიეკუთვნება, ახალმა და ღია ურთიერთობებმა შესაძლოა საშუალო ზომის და მსხვილ ირანულ საწარმოებს უბიძგოს საქართველოში დაბანდებისკენ, რაც ახალი სამუშაო ადგილებს და უცხოური ვალუტის შემოდინებას უზრუნველყოფს.

საქართველოს პოზიციას გარკვეული სუსტი მხარეებიც აქვს: არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველო არ არის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ირანით არის დაინტერესებული და ჩვენს კონკურენტებს შეიძლება უკეთესი მდებარეობა ჰქონდეთ (სომხეთი, თუმცა მას შავ ზღვაზე გასასვლელი მაინც ესაჭიროება) ან ისინი უფრო მდიდრები იყვნენ (თურქეთი, რუსეთი); ამიტომ საქართველოს მთავრობამ და კერძო სექტორმა აქტიურად უნდა გამოიყენონ ირანის მიმართულება ინტენსიური მოლაპარაკებების და დარწმუნების გზით. ამავე დროს, საქართველომ არ უნდა დაივიწყოს აზერბაიჯანისა და ირანის საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა და გაითვალისწინოს, რომ ირანის გაზის/ნავთობის რესურსებით გატაცებას ჩვენი მთავარი მოკავშირე სამხრეთ კავკასიაში მსუბუქად არ მოეკიდება. ასევე, სომხეთთან ურთიერთობების ინტენსიფიკაცია (საგზაო/სარკინიგზო ტრანსპორტირების ვარიანტების შესწავლა) შესაძლოა თურქეთს არ ესიამოვნოს.

თუმცა, მთლიანობაში, ირანი წარმოადგენს საქართველოსთვის დიდ შესაძლებ-

ლობას, გაიძლიეროს ჰაბის პოზიციები ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე და თუ დღემდე საქართველო აღმოსავლეთ-დასავლეთის მარშრუტზე აბრეშუმის გზის ცენტრალური კვანძი იყო, ის შეიძლება სამხრეთ-ჩრდილოეთის მარშრუტის ცენტრალური პუნქტიც გახდეს.

რეკომენდაციები პოლიტიკის შემმუშავებლებისათვის

იმისათვის, რომ შემუშავდეს ირანთან ორმხრივი ურთიერთობების ყოვლისმომცველი დღის წესრიგი და შეგვეძლოს დასავლეთთან ირანის ურთიერთობებში პოტენციურ გეოპოლიტიკურ ცვლილებებზე რეაგირება, პროცესის გაანალიზების შესაძლებლობა უნდა გაძლიერდეს შემდეგი ელემენტებით:

– პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების ასპექტების აკადემიური და ანალიტიკური კვლევები;

– ამ საკითხზე ადამიანური შესაძლებლობების და ცოდნის გაუმჯობესება სამთავრობო უწყებებში (საგარეო საქმეთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, განათლების სამინისტრო და სხვა, ასევე, სავარაუდოდ, ეროვნული უსაფრთხოების საბჭო);

– პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ინფორმაციის გაცვლის და კონსულტირების მექანიზმების ჰარმონიზება;

– ირანის ეკონომიკური პოტენციალისა და ევროკავშირის ბაზრების მიმართ ინტერესის ყოვლისმომცველი კვლევა;

– ირანთან ვაჭრობის მიმართ ევროკავშირის ცალკეული ქვეყნების ინტერესების ყოვლისმომცველი კვლევა.

ზემოაღნიშნულ ანალიზზე დაყრდნობით, საქართველო-ირანის ორმხრივი ურთიერთობების მთავარი ფოკუსი უნდა იყოს ეკონომიკური, ფინანსური, სავაჭრო, საინვესტიციო და სატრანსპორტო საკითხები. ენერგოპოლიტიკა ცალკე საკითხი უნდა იყოს, მაგრამ არ უნდა დომინირებდეს ორმხრივი ურთიერთობების დღის წესრიგში. უსაფრთხოების სენსიტიური საკითხები მინიმუმამდე უნდა შემცირდეს და/ან შეთანხმდეს და გარკვეულწილად, აღმოიფხვრას როგორც თანამშრომლობის სხვა ელემენტების შემაფერხებელი ფაქტორი.

განხილული უნდა იქნეს მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგიის რამდენიმე ძირითადი საკითხი მკაფიოდ განსაზღვრული პრიორიტეტებით:

მოკლევადიანი სტრატეგიის ძირითად საკითხებში უნდა შედიოდეს:

– ტურიზმი;

– მცირე და საშუალო ვაჭრობა;
– კარგად განვითარებული, გამჭვირვალე და საიმედო ფინანსური სერვისები;
– მცირე და საშუალო ზომის სამშენებლო პროექტები;
– ეკონომიკური/საინვესტიციო შესაძლებლობების პოპულარიზაცია;
– ევროკავშირის ბაზრის ეეფექტიანი წვდომის ხელშეწყობა.

გრძელვადიანი სტრატეგიის ძირითადი საკითხებია:

– ირანული ინვესტიციების მოზიდვა ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის მშენებლობაში;

– ევროპული ბაზრისთვის პროდუქციის ერთობლივი წარმოების ხელშეწყობა საქართველოში;

– ახალი ტექნოლოგიების და შესაძლებლობების მოზიდვა საქართველოში, რითიც, ირანულ რესურსებთან ერთად, შესაძლებელი იქნება საექსპორტოდ ხარისხიანი საქონლის წარმატებით წარმოება;

– ენერგოინფრასტრუქტურის განვითარება (მათ შორის დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზები) რეგიონული ენერგეტიკული სისტემის ფარგლებში.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის შესახებ

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) იმ იშვიათი ტიპის კვლევით ცენტრებს (ე.წ. think tank) მიეკუთვნება, რომლებიც ანალიტიკური საქმიანობის და ადვოკატირების მეთოდების კომბინირებით ახერხებენ ყველაზე აქტუალური ეკონომიკური საკითხების წინ წამოწევას. EPRC ფართო საზოგადოებასა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს აწვდის დროულ, კვალიფიციურ და ფაქტებზე დაფუძნებულ რეკომენდაციებსა და ანალიტიკურ პროდუქტს, ხელს უწყობს აქტუალურ საკითხებზე საჯარო დებატებს და აღნიშნულ საკითხებში საზოგადოების გარკვევას.

დაარსების პირველივე დღიდან EPRC აქტიურ როლს თამაშობს სამოქალაქო საზოგადოებასა და საჯარო სექტორს შორის სამუშაო კონტაქტების გამყარებაში. EPRC-ის კომპეტენციის სფეროს წარმოადგენს ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური პოლიტიკის საკითხები, ფისკალური პოლიტიკა, სახელმწიფო ბიუჯეტის გამჭვირვალობა, მსხვილი სახელმწიფო თუ დონორების მიერ დაფინანსებული პროგრამების განხორციელების მონიტორინგი და სხვა. არსებობის თითქმის 14 წლის მანძილზე EPRC-მ შეიძინა ობიექტური, სანდო და კვალიფიციური ინფორმაციის წყაროს რეპუტაცია.

საქართველო და ირანი 2015

$35,8 მლნ

ექსპორტი ირანში

$91,9 მლნ

იმპორტი ირანიდან

25 273

ვიზიტორები ირანიდან

$104 000

ფულადი გზავნილები ირანიდან

$-149 700

ირანული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში

ძირითადი ინდიკატორები

48-ე 168-დან 130-ე 168-დან	23-ე 178-დან 171-ე 178-დან	24-ე 189-დან 118-ე 189-დან	66-ე 140-დან 74-ე 140-დან
საერთაშორისო გამჭვირვალობა კორუფციის აღქმის ინდექსი 2015	HERITAGE FOUNDATION ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2016	მსოფლიო ბანკი ბიზნესის წარმოების სიმარტივის ინდექსი 2016	მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI) 2015-2016

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC)
ფალიაშვილის ქ. 85. მეოთხე სართული. 0162. თბილისი. საქართველო.
(995 32) 2 207 305
info@eprc.ge
@EPRC_Georgia
Economic Policy Research Center
www.eprc.ge

„საქართველო და მეზობლები“ მომზადდა და გამოიცა ფონდი ღია საზოგადოების „ანალიტიკური ორგანიზაციების პროგრამის“ ფინანსური მხარდაჭერით.